



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №01

ქ. ბათუმი

25 აპრილი, 2017წ.

ბსუ-ში სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების
წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს
წესდების მე-10 მუხლის და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის
საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დამტკიცდეს

1. დამტკიცდეს ბსუ-ში სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების თანდართული წესი(დანართი 1).
2. გადაწყვეტილება დაეზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს და მართვის ორგანოებს.
3. გადაწყვეტილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი

დ.ბარათაშვილი

ბსუ-ში სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“) სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი (შემდეგში „წესი“) შემუშავებულია „უმადლესი განათლები შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბსუ-ს წესდების საფუძველზე.
2. წინამდებარე წესის მიზანია დაადგინოს სტუდენტთა (ინდივიდუალური ან/და ერთობლივი) ინიციატივებისა და პროექტების (შემდეგში „პროექტი“) წარდგენისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა.
3. დაფინანსების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი ინიციატივა/პროექტი შეიძლება იყოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული ან სპორტული თემატიკის.
4. სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) იქმნება საბჭო, არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით, მათ შორის ერთი წევრი ბსუ-ს სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურიდან.
5. საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ ბრძანებით მტკიცდება სტუდენტური პროექტების განაცხადისა და შეფასების ფორმები.
6. უნივერსიტეტის მიზნებისა და ფუნქციების შესაბამისი საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული, სპორტული თუ საზოგადოებრივი საქმიანობის ხელშემწყობი ინიციატივებისა და პროექტების განსახორციელებლად საჭირო (აუცილებელი) ფინანსური და მატერიალური რესურსების ხარჯვაზე და გამოყენებაზე გადაწყვეტილებას, ბსუ-ს შესაბამისი რესურსის ფარგლებში, იღებს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მუდმივმოქმედი საბჭოს წარდგინების საფუძველზე.
7. ბსუ-ს სტუდენტური ინიციატივები/პროექტები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს კალენდარული წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს (გარდა უქმე დღეებისა), მაგრამ, შესაბამისი ინიციატივის/პროექტის სავარაუდო განხორციელების თარიღამდე 2 (ორი) თვით ადრე მაინც ან რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში (შესაბამისი კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში).
8. ინიციატივები/პროექტები წარმოდგენილი უნდა იქნეს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით, რომლებიც მუდმივმოქმედი საბჭოს შესაბამისი სხდომის გამართვამდე გადაეცემა ბსუ-ს სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურს.
9. განცხადებას თან უნდა დაერთოს:
 - ა) **სარეკომენდაციო წერილი** (რომელიც დასაბუთებულად უნდა ასახავდეს პროექტის მნიშვნელობას შესაბამისი დარგისთვის. რეკომენდაცია წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ);

ბ) სტუდენტ(ებ)ის ავტობიოგრაფია(CV);

გ) ცნობას ტუდენტის სტატუსის შესახებ.

10. ინიციატორი/პროექტის ავტორი ვალდებულია ბსუ-ს ადმინისტრაციის ან/და მუდმივმოქმედი საბჭოს მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს დამატებითი/დაზუსტებული პროექტი ან/და სხვა საჭირო მასალა, მუდმივმოქმედი საბჭოს მიერ განაცხადის დროულად და ეფექტურად განხილვის მიზნით, ასევე პროექტის პრეზენტაცია წარუდგინოს საბჭოს.

11. პროექტის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, პროექტის ავტორმა რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე უნდა წარმოადგინოს პროგრამული და ფინანსური ანგარიში, რომელიც გასაცნობად წარედგინება საბჭოს.

12. საბჭო საპროექტო განაცხადების განხილვის მიზნით იკრიბება საჭიროებიდან გამომდინარე.

13. საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი.

14. საბჭოს ყოველ სხდომაზე მდივანი ადგენს ოქმს, რომელიც სხდომის ჩატარებიდან არანაკლებ 3 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ბსუ-ს ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილებების გაცნობას დაინტერესებულ პირთათვის.

15. საბჭოს საქმიანობის ის პროცედურული საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ საბჭოს მიერ, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, ბსუ-ს წესდებს და ბსუ-ს სამართლებრივ აქტებს.

16. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება ბსუ-ს ბიუჯეტის მონაცემები და სტუდენტური ინიციატივების/პროექტების პრიორიტეტულობა შემდეგი მიმართულებებითა და თანმიმდევრობით:

16.1 სამეცნიერო პროექტები;

16.2. კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები;

16.3. სპორტული ღონისძიებები;

16.4. არაფორმალური განათლება;

16.5. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტების ხელშეწყობა.